

შპს. “ფორკლიფტ სერვის ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია მესამე კატეგორიის საწარმოს მსს ფასს
სტანდარტების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერთეულ
ლარებში.

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ბალანსი;

მოგებებისა და ზარალის ანგარიშგება;

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება;

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.

შპს. "ფორკლიფტ სერვის ჯორჯია"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ერთეულ ლარში)

აქტივები:

ფინანსური მდგომარეობის უწყისი	შენიშვნები	12/31/2024	12/31/2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1.	546 427.00	697 775,00
სავაჭრო მოთხოვნები		11 750.00	1 265,00
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებას გაცემული ფულადი სახსრები	2.	256 116.00	290 199,00
მარაგები	3	527 953.00	548 825,00
სხვა მარაგები		8 365.00	9 757,00
სხვა მოკლევადიანი აქტივები		21 670.00	38 127,00
არამატერიალური აქტივები		2 963,00	2 963,00
ძირითადი საშუალებები	4	148 731.00	175 856,00
სხვა გრძელვადიანი აქტივები	5	4 452 488.00	4 552 549,00
სულ აქტივები		5 976 463.00	6 317 316.00

მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	6	1 273 750.00	2 207 562,00
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		20 339.00	9 464,00
საგადასახადო ვალდებულებები			1 969,00
სულ ვალდებულებები		1 294 089.00	2 218 995,00

საკუთარი კაპიტალი

კაპიტალი		42 786,00	42 786,00
გაუნაწილებელი მოგება		4 055 535,00	3 591 427,00
საანგარიშგებო პერიოდის მოგება- ზარალი		584 053,00	464 108,00
სულ კაპიტალი		4 682 674,00	4 098 321,00
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		5 976 463,00	6 317 316,00

დირექტორი



/ამირან მუმლაძე/

შპს ფორკლიფტ სერვის ჯორჯია ს/ კოდი 400105373

მოგება-ზარალის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ერთეულ ლარში)

მოგება-ზარალის ანგარიშგება	შენიშვნები	12/31/2024	12/31/2023
ნეტო ამონაგები	7	2 499 641,00	1 864 170,00
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(1 745 999)	(1 258 995)
საეთო მოგება		753 642,00	605 175,00
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0	0
დასაქმებულთა ხელფასები		(249 856)	(221 630)
ამორტიზაციის ხარჯები		(30 326)	(22 014)
საპეროცენტო შემოსავალი	8	177 800,00	230 850,00
იჯარის ხარჯები		(32 035)	(35 084)
სხვა ადმინისტრაციული და მიწოდები ხარჯები	9	(113 326)	(115 700)
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		75 451,00	22 511,00
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი		2 703,00	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		584 053,00	464 108,00

დირექტორი



/ამირან მუმლაძე/

ფორკლიფტ სერვის ჯორჯია ს/ კოდი 400105373

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება;

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ერთეულ ლარში)

საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	12/31/2024	12/31/2023
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) სულ		584 053,00	464 108,00
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		4 098 321,00	3 634 213,00
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო		4 682 374,00	4 098 321,00

დირექტორი



/ამირან მუმლაძე/

ფორკლიფტ სერვის ჯორჯია ს/ კოდი 400105373


ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ერთეულ ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობა	შენიშვნები	12/31/2024	12/31/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		9 417 535,00	5 220 345,00
საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(9 611 221, 00)	(5 480 459,00)
ფულადი სახსრების შემოსავლა (გასვლა)		(193 686, 00)	(260 114,00)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე		42 338,00	(36 514,00)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების წლის დასაწყისში		697 775,00	994 403,00
ფულადი სახსრები საანგარიშგებო წლის ბოლოს		546 427,00	697 775,00

დირექტორი



/ამირან მუმლაძე/

ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს. ფორკლიფტ სერვის ჯორჯია (შემდგომში – კომპანია) დაფუძნდა 2013 წლის 19 ნოემბერს. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოში მოქმედი რეგულაციების მიხედვით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენსოს მიერ საიდენტიფიკაციო კოდით 400105373.

კომპანიის მისამართია: საქართველო, თბილისი ფეიქრების 14.

კომპანიის დამფუძნებელია უკრაინის მოქალაქე იური დიაგილევი პირადი ნომრით 2253305859 შესაბამისად 100% წილის ერთპიროვნული მფლობელი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას სფეროს წარმოადგენს იმპორტით მიღებული საქონლის ყიდვა-გაყიდვა, კერძოდ კი სასაწყობე ტექნიკის: ურიკების, შტაბელერების, დამტვირთველებისა და სტელაჟების შესაბამისად, აღნიშნული ტექნიკისა და ტექნიკური მომსახურების გამყიდველი საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ, კერძოდ: სომხეთში, აზერბაიჯანსა და უკრაინაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობა. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური

ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო მსს-ფასს შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა

განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები, რომელთა ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიას აქვს გარკვეული სააღრიცხვო პოლიტიკა რომელიც არის მიზანმიმართული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება არა მარტო კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს, არამედ ის განსაზღვრავს კომპანიის მომავალ წარამტებას სამეურნეო ეკონომიკური საქმიანობაში. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა საიმედოა იმ თვალსაზრისით, რომ ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას;

ოპერაციები და ნაშთები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებების გადანგარიშების შედეგად მიღებული შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები, საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით , ფასდათმობებისა და საქართველოს მთავარობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია , ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. რეალიზაცია, ანუ სასაქონლო მარაგების გაყიდვა ხდება საგადასახადო პორტალზე ზედანდების ატვირთვის გზით რომელიშიც მითითებულია სასაქონლო კოდი რომელიც ედრება კომპანიის ბუღალტერიაში სასაქონლო მარაგის აღრიცხვის კოდს მითითებულია რაოდენობა და ერთეულის ფასი ანუ გადაგზავნით კლიენტისათვის საშუალებით და შესაბამისად ხდება საქონლის ტრანსპორტირება ან კომპანიის მიერ, ან სატრანსპორტო კომპანიის ან უმაღლდ მყიდველის მიერ. გაყიდვის პროცესშივე ხორციელდება თანხის გადახდა.

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ კლიენტისგან მიიღებულია თანხა ან თანხის გადახდის ვადა დადგა (რომელიც უფრო ადრე მოხდება) კომპანიის მიერ შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გადაცემამდე. სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება შემოსავლად მაშინ, როდესაც ჯგუფი შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას. კომპანია მიღებულ ავანს ბეგრავს იმ საანგარიშგებო პერიოდში როცა იღებს მას, შესაბამისი კანონმდებლობიდან გამომდინარე.

ყოველი თვის ბოლოს კომპანიაში ხორციელდება დებიტორების ანალიზი, კონტროლი შესაბამისად კომპანიას უიმედო დებიტორი არა ჰყავს.

სასაქონლო მარაგების მიღებისა და გასვლა-ჩამოწერის აღრიცხვა:

მოგეხსენებათ, რომ მანამ სანამ იმპორტით საქონელს მიიღებს კომპანია, ხელშეკრულების მიხედვით ხდება ინვოისის საფუძველზე მისაღები საქონლის ღირებულების ნაწილის გადახდა ან მთლიანი ღირებულების გადახდა.

ვინაიდან კომპანია ვაჭრობს იმპორტით მიღებული საქონლით, თვითღირებულებაში შედის კომპანიის მიერ მომწოდებლისათვის ადრე გადახდილი ავანსის გადახდის დღისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით ან მთლიანად გადახდილი საქონლისათვის გადახდილი ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით.

იმ შემთხვევაში თუ, კომპანია იმპორტით იღებს სასაქონლოს მარაგს შემდგომში გადახდის პირობით, მაშინ სასაქონლო მარაგის შემოსავალში ხორციელდება საბაჟო დეკლარაციის თარიღის დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსით.

შესაბამისად სასაქონლო მარაგის თვითღირებულებაში შედის: ავანსის გადახდის

დღისათვის არსებული კურსით საქონლის მიღება, შედის: ტრანსპორტირების ხარჯი, საბორკერო მომსახურების ხარჯი, შემოსავლების სამსახურის ხარჯი ანუ ყველა ის ხარჯი დღგ-ს გარეშე რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია საქონლის მოტანასთან საწყობში. რაც შეეხება სასაქონლო მარაგის რეალიზაცია გასვლა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა: მიღება, ცვეთა და გასვლა

კომპანიის მიერ ძირითადი საშუალებების თვითღირებულება მოიცავს:

- ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა კომპანიას გასწავლული აქვს ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით და დამოკიდებულია საწარმოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებაზე, რომელიც ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას.

სატრანსპორტო საშუალებები	7 წელი
ავეჯი	5 წელი
მანქანა დანადგარები, ოფისის აღჭურვილობა	5 წელი

კომპანია სარგებლობს ძირითადი საშუალებების ცვეთის წრფივ მეთოდით

ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება: გაყიდვის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ვალდებულებები სავაჭრო მოთხოვნებიდან:

ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

კომპანიას აქვს 2016 წელს ნაყიდი აქციები შემდგომი გადახდის პირობით ხელშეკრულების საფუძველზე არარეზიდენტი კომპანიის კაპიტალიდან, რომლის ღირებულება არის 176 499,66 დოლარის ექვივალენტი და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის კურსით 322 444,92 ლარი.

კომპანიას აღნიშნული დავალიანება არარეზიდენტი საწარმოს მიმართ 2024 წლის განმავლობაში არ დაუფარია და იგი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 309 550,63 ლარს.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის

პროპორციულად.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. ხელფასები, პრემიები და არაფულადი სარგებელი ერიცხება იმ წელს, როდესაც შესაბამისი მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში და დაანგარიშდება, როგორც განაწილებული წმინდა თანხის 15/85 განაკვეთის გამოყენებით, დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად

გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც ხდება დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების აღიარება ხდება, მაშინ როდესაც მომწოდებელი ასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებას და თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით აღიარება.

საიჯარო ვალდებულებები

კომპანიას აქვს იჯარით აღებული საწყობისა და ოფისის ფართი. იჯარის აღრიცხვა ხდება ხელშეკრულებით დადგენილი შეთანხმების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს ყოველთვიურ ფიქსირებულ გადასახადს.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები-ხელფასები

დაქირავებულ პირთა ხელფასების დარიცხვა ხდება ხელშეკრულების საფუძველზე, აგრეთვე თანამშრომელს კომპანია უხდის საპენსიო გადასახადს და ხელფასების ანაღურება ხორციელდება თვის ბოლოს.

აგრეთვე, კომპანია გაყიდვების მომატებისათვის თანამშრომელთა წახალისებისათვის იყენებს საპრემიო სისტემას.

კომპანიის მიზანია შეინარჩუნოს მაღაკვალიფიცირებული კადრები, გააუმჯობესოს თანამშრომელთა სამუშაო გარემო, ხელი შეუწყოს მათ განვითარებას შეამციროს თანამშრომელთა გადინება და შექმნას კონკურენტუნარიანი სამუშაო გარემო, სადაც კომპანიისა და თანამშრომელთა მიზნები ურთიერთანხვედრაშია. კომპანიაში შემუშავებულია შინა განაწესი, რომელსაც თანამშრომლები ექვემდებარებიან. კომპანია თანამშრომლებს უხდის ასევე, სადაზღვევო პრემიას.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის რაოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის

მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. კომპანიის მიერ საწესდებო კაპიტალი აღიარდება იმის გათვალისწინებით, რომ ის კომპანიაში მფლობელმა შეიტანა.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 19 000 (ცხრამეტი ათასი) ევროს ანუ 2013 წლის 22 ნოემბრის მდგომარეობით 42 786,10 (ორმოცდა ორი ათას შვიდას ოთხმოცდა ექვს და 10 თეთრი) ლარს. კომპანიის დამფუძნებელს 2024 წელს კაპიტალი არ შეუმცირებია.

დივიდენდი

დივიდენდის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოიშობა დივიდენდის იურიდიული ვალდებულება. დივიდენდი აღიარდება, როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი.

კომპანიას დამფუძნებლისათვის დივიდენდი 2024 წლის განმავლობაში არ გაუცემია.

ფინანსური ანგარიშგება და კონტროლი

კომპანიის ადმინისტრაცია ყოველთვიურად, ყოველკვარტალურად, ყოველი ექვსი თვის, ყოველ წლიურად ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებებს:

ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობას - ბალანსს,

მოგება-ხარალის უწყისს

დებიტორებს,

კრედიტორებს.

ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს დგება საინვენტარიზაციო კომისია, რომელიც ახორციელებს როგორც, სასაქონლო მარაგებისა ასევე, კომპანიის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების დათვლასა და შედარებას ბუღალტრულ

მონაცემებთან.დგება შესაბამისი აქტი და ხდება მისი გაფორმება.

შესაბამისად ბალანსში აღნიშნული სასაქონლო მარაგების ღირებულება ემთხვევა საწყობში არსებულ სასაქონლო მარაგების რაოდენობასა და ღირებულებას.

გაყიდული საქონლის ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის გათვალისწინებით.ეს მეთოდი კომპანიას აღებული აქვე დაარსების დღიდან.

კომპანიის მიერ წარმოდგენი ფინანსური ანგარიშგების განმარტებანი:

ბალანსის მუხლების განმარტებანი (თანხები მოცემულია ერთეულ ლარში)

1. კომპანია „ფორკლიფტ სერვის ჯორჯია“-ს ანგარიშსწორების ანგარიშები გახსნილი აქვს თიბისი ბანკში, პროკრედიტ ბანკსა და საქართველოს ბანკში, როგორც ლარში ასევე დოლარში.

ბალანსში პირველ მუხლში მოცემული თანხები ასახულია ჯამურათ ლარსა და ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის ძირითადი სამუშაო ბანკებია თიბისი და პროკრედიტ ბანკი.

ფულადი სახსრები ლარი	12/31/2024	12/31/2023
თიბისი ბანკი	10 077,35	5 846,42
საქართველოს ბანკი	12 917,74	776,34
პროკრედიტ ბანკი	25 892,08	13 603,79
ჯამი	48 887,17	20 226,55

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	12/31/2024	12/31/2023
თიბისი ბანკი	94 759,77	22 863,05
საქართველოს ბანკი	1,23	1,18
პროკრედიტ ბანკი	402 778,90	654 664,55
ჯამი	497 439,90	677 528,78
სულ ფულადი სახსრების ნაშთები ჯამურათ წლის ბოლოს	546 427,07	697 755,33

2. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებას გაცემული ფულადი სახსრები:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1480 ანგარიშზე-სახელწოდებით მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები ანუ ავანსათ გადახდილი თანხები მომწოდებლებისათვის შეადგენდა 256 116,00 (ორას ორმოცდა თექვსმეტი ათას ას თექვსმეტი) ლარს.

3. სასაქონლო მარაგები

სასაქონლო მარაგები	12/31/2024	12/31/2023
გადასაყიდად არებული საქონელი თვითღირებულებით საანგარიშგებო წლის 2024 წლის ბოლოს	527 953,00	548 825,00

4. ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებები:	12/31/2024	12/31/2023
მანქანა-დანადგარები	3 416,00	2 194,00
ოფისის აღჭურვილობა	132,00	742,00
ავეჯი და სხვა ინვენტარი	954,00	1 218,00
სატრანსპორტო საშუალებები	144 229,00	171 702,00
ჯამი	148 731,00	175 856,00

5. სხვა გრძელვადიანი აქტივები:

სხვა გრძელვადიანი აქტივები	12/31/2024	12/31/2023
გრძელვადიანი აქტივები	561 360,00	537 880,00
გრძელვადიანი ინვესტიციები	386 521,00	386 521,00
სხვა მიმდინარე აქტივები	3 504 607,00	3 628 148,00
ჯამში	4 452 488,00	4 552 549,00

2022 წლის ბოლოს კომპანიას განთავსებული ჰქონდა „პროგრედიტ ბანკში“ ანაბარი 750 000 (შვიდას ორმოცდა ათი ათასი) დოლარი, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 2 026 500,00 ლარს (ორი მილიონ ოცდა ექვსი ათას ხუთასს) ლარს ეროვნული ბანკის კურსით. 2023 წელს დარჩა 200 000,00 (ორასი ათასი) დოლარის ანაბარი „პროგრედიტ ბანკში“ რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 537 880,00 (ხუთას ოცდა ჩვიდმეტი ათას რვაას ოთხმოცი) ლარს ეროვნული ბანკის კურსით. ხოლო 2024 წლის ბოლოს სადეპოზიტო ანგარიშებზე საბოლოო ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 200 000,00(ორასი ათასი დოლარის ექვივალენტს 561 360,00 (ხუთას სამოცდა ერთი ათას სამას სამოც) ლარს ეროვნული ბანკის მონაცემებით.

386 521,00 ლარი არის კომპანიის 2016 წელში შეძენილი აქციები არარეზიდენტი კომპანიისგან შემდგომი გადახდის პირობით.დავალიანება 2024 წლის ბოლოს არ შეცვლილა.

3 628 148,00 ლარი 2023 წელს საბროკერო კომპანიებში შპს. „თიბისი კაპიტალსა“ და სს.“გალტ ენდ თეგარტში“ განთავსებულია ფული საპროცენტო სარგებლის მიღების მიზნით.

2024 წლის განმავლობაში საბროკერო კომპანიებში განთავსებული ფულის ნაშთი შემცირდა და 2024 წლის 31დეკემბრის ბოლოს საბოლოო ნაშთმა შეადგინა 3 504 606,00 ლარი

6.სავაჭრო ვალდებულებები:

სავაჭრო ვალდებულებები	12/31/2024	12/31/2023
საქონლისა მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	959 930,00	1 162 903,00
მიღებული ავანსები		731 852,00
მოკლევადიანი ვალდებულებები	313 819,00	312 806,00
ჯამი	1 273 750,00	2 207 562,00

7.ნეტო ამონაგები:

ნეტო ამონაგები	12/31/2024	12/31/2023
სასაქონლო მარაგების გაყიდვა საქართველოში	1 934 577,00	1 532 885,00
გაყიდვები მომსახურებიდან	3 127,00	8 836,00
გაყიდვები საქართველოს გარეთ	561 937,00	322 449,00
ჯამი	2 499 641,00	1 864 170,00


8.საპროცენტო შემოსავალი:

საპროცენტო შემოსავალი:	12/31/2024	12/31/2023
საპროცენტო შემოსავალი მიღებული პროგრედიტ ბანკიდან და საბროკერო კომპანიებიდან.	177 800,00	230 850,00

9. სხვა ადმინისტრაციული და მიწოდები ხარჯები

სხვა ადმინისტრაციული და მიწოდები ხარჯები	12/31/2024	12/31/2023
ბანკისა და კონვერტაციის ხარჯები	(17 437,00)	(25 985,00)
კომუნიკაციის ხარჯები	(6 917,00)	(4 869,00)
ოფისის ხარჯი	(3 873,00)	(8 904)
სატრანსპორტო საშუალების ხარჯები საწვავისა და შეკეთების ხარჯები	(24 108,00)	(19 070,00)
კომუნალური ხარჯი	(2 265,00)	(2 841,00)
დაზღვევის ხარჯი	(14 805,00)	(11 257,00)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(18 708,00)	(3 073,00)
რეკლამის ხარჯი	(8 657,00)	(2 949,00)
ტრანსპორტირების ხარჯები	(13 933,00)	(12 048,00)
ტრანსპორტირების ხარჯი (ჯარიმა კონტერინერის მოცდენაზე)	(0)	(0)
ექსპორტის ხარჯი	(2 623,00)	(6 125,00)
მიწოდები ხარჯი	(0)	(18 579,00)
ჯამი	(113 326,00)	(115 700,00)

დირექტორი



/ამირან მუმლაძე/